ბრძანება № 1-05

21 01 2022წ.

გორი

„სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 07 ოქტომბრის N1-76 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 07 ოქტომბრის N1-76 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსიის მომზადება არაუგვიანეს 2022 წლის 11 თებერვლისა.“

2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი